



THE TREE OF MAN AND THE FUNDAMENTAL DIMENSIONS OF BIOSYNTHESIS

By David Boadella

Translated by Ekaterine Gverdsiteli-Goksadze, David Katamadze

ადამიანი-ხე

ბიოსინთეზის ფუნდამენტალური განზომილებები

ბიოსინთეზის ფუნდამენტალურ განზომილებათა განმარტებისთვის ავტორი გვთავაზობს ხის მეტაფორას (ხე). სტატიაში არ არის საუბარი ტექნიკებზე, მეთოდებსა და თეორიულ პრინციპებზე. მასში აღწერილი განზომილებები არა მხოლოდ თერაპიული, არამედ პრე და ტრანს-თერაპიულია, ანუ შეიძლება ამ მიმართულებით არსებული ასობით ნაშრომის საფუძველს წარმოადგენდეს. ქვემოთ აღწერილი შვიდივე განზომილება ასე თუ ისე ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში; ისინი თერაპიული მიდგომის შესაძლო მოდალობებია და კავშირშია რაიხის მიერ აღწერილ სხეულის შვიდ სეგმენტთან, ასევე ცენტრების დახვეწილ ენერჯიებთან, რომლებსაც ჩაკრები ეწოდებათ.

შესავალი

ცასა და დედამიწას შორის აღმართული, მსოფლიოს ცენტრში მდგომი სიცოცხლის ხის სიმბოლო ისეთივე ძველია როგორც მითოსი. ის შეიძლება სიმბოლურად დავაკავშიროთ ადამიანის სხეულს და წარმოვიდგინოთ როგორც ადამიანი-ხე, რომელიც დგას დედამიწაზე, მის თავს ზემოთ კი ცაა გადაშლილი. ეს მეტაფორა გამოგვადგება როგორც ინტეგრაციული ჩარჩო, ჩვენს ნაშრომში ბიოსინთეზის სხვადასხვა მიმართულებების ერთად წარმოსადგენად.

სიცოცხლის ნაკადები: ფესვები, როგორც განსხეულების სიმბოლო

ხეს აქვს ფესვები, რომელიც როგორც ღუზა, ამაგრებს მას მიწაზე და უზრუნველყოფს საჭირო საკვებით.

სკანდინავიურ მითოლოგიაში წმინდა ხეს სამი ფესვი აქვს, ქრისტიანულ რელიგიაშიც საუბარია სამებაზე (და ა.შ.) ბიოსინთეზში კი ეს სამი ფესვი შეესაბამება სიცოცხლის სამ ნაკადს.

ბიოსინთეზის ფუნდამენტალური კონცეფცია, რომელიც დაკავშირებულია ფუნქციურ ემბრიოლოგიასთან, დაფუძნებულია სამი ფენისა და სამი მილის იდეაზე, საიდანაც ვითარდება ჩვენი მთლიანი სხეულის სისტემა.

ისინი კავშირშია სამ ნაკადთან: ნაკადი დაკავშირებული ფიზიკურ და ემოციურ კვებასთან; ნაკადი, დაკავშირებული თავისუფალ და მოხდენილ მოძრაობებთან; ნაკადი, დაკავშირებული კანსა და გრძნობის ორგანოებთან სასიამოვნო კონტაქტთან. ეს სამივე ნაკადი შეიძლება უარყოფითად გადაიტვირთოს, რაც ხდება ნევროზის სომატური საფუძველი: კომპრესიას და სტრესს ორგანოებსა და ორგანოთა სისტემებს შორის მივყავართ ინტეგრირებული ნაკადების გახლეჩვამდე და ისინი დისფუნქციური ხდებიან.

ის, რაც ხდება ჩვენს ემოციურ სისტემაში, ქცევაში, პოზასა და მოქმედების პატერნებში, ის, თუ როგორც აღვიქვამთ და გავიაზრებთ სამყაროს - ეს არის ფესვები ჩვენი განსხეულებისა და ბიოსინთეზის ABC - ემოცია, ქცევა, აზროვნება [1].

Free Article

სიცოცხლის ველები: ექსპრესიის დონეები

ფესვებიდან მოდის ღერო - ხის ტანი, მისი ორგანიზაციის ვერტიკალური სისტემა.

ადამიანის სხეულში ჩვენ ასევე ვსაუბრობთ ღეროსა და ტორსზე. ამ ღეროს საწყისი არის ფუძის ჩაკრა.

ტორსი გაერთიანებულია ხერხემლით - მოტორული სისტემის ღერძით, მოტორული და ვეგეტატიური ნერვული სისტემის სენსორული არხებით.

ხერხემალში არის შვიდი ფიზიოლოგიური გამრუდება. იქვეა განლაგებული ენერგეტიკული ცენტრები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სხეულის უმეტეს ჯირკვლებთან.

ხერხემალი - წარმოადგენს მთელი სხეულის ღერძს მენჯიდან ტვინამდე, მასთან დაკავშირებულია ნერვული ცენტრები, რომლებიც არეგულირებენ საჭმლის მომნელებელ და სექსუალურ ფუნქციას, გულის, ყელის, ენის, თვალის და მხედველობის, ყურების და სმენის მუშაობას.

ბიოსინთეზში საუბრობენ სიცოცხლის ველებზე, რომლებიც აისახება ჰექსგრამაში.

კლიენტი თავის პრობლემას ერთ ან რამდენიმე ველზე წარმოადგენს. ჩვენ შეგვიძლია ვიმუშაოთ ამ პრობლემაზე სხვადასხვა გზით: მოძრაობის ველში (ე.წ. მოტორული ველები), ემოციების ველში, სუნთქვის ველში, რწმენებისა და ხატების (ხატოვანი წარმოსახვების) ველში, ურთიერთობების ველში, ენის ველში. გამოცდილების ინტეგრაციისთვის ჩვენ გადავდივართ ველიდან ველში. ასე მაგალითად, ჩვენ ვმუშაობთ სიზმრებთან, რათა მივაღწიოთ სუნთქვის განთავისუფლებას ან ემოციური განმუხტვის საშუალებით გვსურს მივაღწიოთ სულიერების ამაღლებას.

სიცოცხლის ხაზები: კავშირები

ხე არ დგას მარტო, ის გარშემორტყმულია სხვა ხეებითა და ცოცხალი ორგანიზმებით. ხეზე იშლება ყვავილები და ისინი იზიდავენ მწერებს. იგი ავრცელებს თესლს ქარის ოთხივე მიმართულებით. ხე შეიძლება განაყოფიერდეს და ასევე ფოთოლცვენით გაანაყოფიეროს ნიადაგი. ხე არის ეკოსისტემის ნაწილი.

ადამიანი ასევე არაა მარტო. მას აქვს კავშირები და ურთიერთობები:

- მშობლებთან და სხვა წინაპრებთან;
- შვილებთან და შვილიშვილებთან (და არა მარტო მათთან, ვინც გავაჩინეთ ფიზიკურად, არამედ აქ ჩვენი შვილობილები და აღზრდილებიც იგულისხმებიან (ჩვენს პროფესიში მაგალითად);
- თანამედროვეებთან, სექსუალურ პარტნიორებთან;
- მსხვილ და პატარა თემებთან;
- სხვადასხვა კულტურებთან.

ამ ურთიერთობებში განსხვავებული ხარისხით რეალიზდება ავტონომიისა და დამოკიდებულების, სეპარაციისა და შერწყმის პროცესები.

ჩემი კოლეგა (Petrushka Clarkson - Petruschka Clarkson) აღწერს თერაპიული ურთიერთობების 5 ასპექტს და თითოეულ მათგანს ორი პოლარული გადახრა აქვს. ესენია: სამუშაო ალიანსი, რეალური ურთიერთობები, განმავითარებელი და მომამზადებელი ურთიერთობები, სულიერ-ტრანსპერსონალური ურთიერთობები და გადატანის-კონტრგადატანის ურთიერთობები.

ცხოვრების პეიზაჟები ან ცხოვრებისეული ისტორიები: გამოცდილების პატერნები

ყველა ხეს აქვს რგოლები - მისი ისტორიის ფენები (კალიფორნიაში გიგანტურ სექვოიებს აქვთ ოთხი ათასამდე რგალი).

ადამიანის განვითარება იწყება კვერცხუჯრედიდან ზრდასრულ სხეულამდე, მის მომავალამდე, რომელსაც იგი შეგნებულად ან ბრმად მართავს. ადამიანის ისტორია განისაზღვრება როგორც წარსულით, ასევე იმით, თუ რა ელის მას მომავალში და რა ელის მას სიკვდილის შემდეგ (ყველა ადამიანს აქვს საკუთარი წარმოდგენა სიკვდილთან და სიცოცხლესთან დაკავშირებით).

ჩვენი პირადი ისტორია, ჩვენი გამოცდილების პატერნები ვლინდება იმაში, თუ რას ვყვებით ჩვენ საკუთარ თავზე, სიზმრებში, ფანტაზიებში, წარსულისა და მომავლის ხედვებში. ჩვენი მეხსიერება - არის ფაქტებისა და ფანტაზიების ნაზავი და მათზე გავლენას ახდენს ის, თუ როგორ აღგვიქვამენ ჩვენ სხვები. თერაპიის დროს მოგონებებთან მუშაობისას ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ და გავაცნობიეროთ ადამიანის გამოცდილების მნიშვნელობა, დავებმართოთ მას ამ მნიშვნელობის გადამუშავებაში, რომ მან იგრძნოს თავი საკუთარ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილედ და არა ვითარებისა და სხვა ადამიანების მსხვერპლად.

ცხოვრების ფორმები: ინტეგრაციული სტრუქტურები

ხის ფორმა კავშირშია ხის სტრუქტურასთან, ტოტების პროპორციასა და ბალანსთან.

ფსიქოთერაპიაში საუბრობენ სტრუქტურასა და მის დეფიციტზე. თუ არ არსებობს სტრუქტურა, ადამიანს ექმნება ერთიანობისა და თანმიმდევრულობის დეფიციტი და დეზინტეგრაციის ტენდენცია. უკიდურესი ფორმა - სტრუქტურის არარსებობა, ქაოსი, ფსიქოტური მდგომარეობა. ინტენსიური ენერგიები მოძრაობს ან იყინება, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მათი სტრუქტურება, ისევე როგორც მას არ შეუძლია ტკივილის ინტეგრირება. მოსაზღვრე მდგომარეობა - ეს არის მდგომარეობა საზღვრების გარეშე. ასეთი ადამიანი გრძნობს, რომ მას არა აქვს კანი. იგი კანგაცლილი ხესავითაა, ძალიან დაუცველია და ემოციური დაავადებებისადმი მოწყვლადი.

რაიხი საუბრობს ნორმალურ ადამიანზე, *homo normalis*, რომელსაც ე.წ. ნორმალური სტრუქტურა აქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ფსიქოთერაპიაში ვეცდებით, რომ ნებისმიერი ადამიანი ვაქციოთ “ნორმალურად”. აუცილებელია გავითვალისწინოთ მისი ინდივიდუალურობა და მისი სტრუქტურის ინდივიდუალურობა.

ლოუენი აღწერს გახლეჩილ ადამიანს, იყენებს რა ღერზე ორად გაპოზილი კუნძის მეტაფორას. ზუსტად ინდივიდუალიზაცია კურნავს გახლეჩვას, ავსებს სიცარიელეს, ეხმარება ადამიანს გამთლიანებაში.

კაბალაში ადამიანის მთლიანობის სიმბოლოა ადამიანი-ხე, ინტეგრირებული მარჯვენა და მარცხენა, ზედა და ქვედა ნაწილებით.

ბიოსინთეზში ჩვენ ვმუშაობთ პოლარობებთან, უკიდურესი ფიქსაციით ერთ-ერთ პოლუსზე და მათ შორის პულსაციასზე.

სტრუქტურის უმაღლესი დონეები - ენერგეტიკული სისტემების ყველაზე ფაქიზი სტრუქტურებია და არა შექმნილი ეგო-კონცეფციები ან განზოგადოებული წარმოდგენა

მთლიანად კაცობრიობის შესახებ. მედიტაცია ეს არის ადამიანის ენერგეტიკული ველის თანწყობის და შესაბამისად რესტრუქტურირების საშუალება. [2].

ასე, რომ სიცოცხლის ფორმები უკავშირდება პიროვნულ და სულიერ ზრდას და არა მის ბიოლოგიურ ასაკს. მნიშვნელოვანია ადამიანს დავეხმაროთ პროგრესში, წინსვლაში, რომ გახდეს უფრო მიმღები ახალი მიმართულებებისა და შესაძლებლობების მიმართ და არ დაკმაყოფილდეს ადაპტაციის არსებული დონით.

სიცოცხლის საფუძვლები: მხარდამჭერი სისტემები

ხის ფესვები ღრმად ჩადის ნიადაგში, მიემართება შორს სიღრმეში ან განში, ისევე როგორც ტოტები მიწის ზემოთ. ხეს ფესვი აქვს გადგმული მიწაში და იწოვს ტენს მისგან (ზოგჯერ 1000 ლიტრამდე დღეში).

ბიოსინთეზში ჩვენ ვსაუბრობთ დამიწების სხვადასხვა ფორმებზე:

1. ფიზიკურ დამიწება, მიწასთან სტაბილური კონტაქტი, ფესვების შეგრძნება;
2. სექსუალური დამიწება სხვა ადამიანის სხეულში;
3. ადამიანის კავშირები კონკრეტულ ადგილთან, ოჯახთან, თემთან, სახლთან;
4. კონცეპტუალური დამიწება, დაკავშირებული რწმენის სისტემასთან, ღირებულებებთან და ენასთან. ღირებულებები თავის მხრივ დამიწებულია აზრებში.

ეს სხვადასხვა სახის დამიწება, გახსენებული ან წარმოდგენილი, გვეკლინება ადამიანის რესურსების ნაწილად, მისი ძალის წყაროდ და კრიზისში დამხმარედ, გაჯანსაღების წყაროდ, რომლებიც კვებავენ ადამიანს სტრესის დროს.

ნევროზების დროს ჩვენ გვახსოვს ტრამვა და ვივიწყებთ რესურსებს.

ტრავმასთან მუშაობისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია რესურსის, მხარდამჭერი სისტემების რეანიმაცია.

მაგალითები:

- ქალი, რომელმაც დაკარგა მამა 1 წლის ასაკში, იხსენებდა უფრო ადრეულ ბავშვობის დროინდელ, მიწიერ, მხარდამჭერ კომფორტს მამის მკვლავებისა;
- ქალი კონტროლირებადი მედიტაციის დროს გადაეშვა ვულკანში, საკუთარი გულის ცენტრში და მის სიღრმეში იპოვა ბოთლი წარწერით „აქ არის თაფლი და რძე“ [3];
- კაცმა ნახა სიზმარი, რომელშიც მისი გარდაცვლილი მამა პატიებას სთხოვდა მას იმის გამო, რომ სჯიდა ბავშვობაში.
- ქალმა, რომელსაც თავს დაესხნენ გაიხსენა ძალი, რომელიც დაეხმარა მას უსაფრთხო ადგილას გაქცევაში [4].

მე მინდა შემოგთავაზოთ სენსიტიური მაგალითი, რომელიც არ არის სესიებიდან, იგი მეორე მსოფლიო ომის დროინდელი გაზეთიდანაა. 10 წლის აუტშვიცის პატიმარი გოგონა ავსებდა დღიურს, რომელიც აღმოაჩინეს მისი სიკვდილის შემდეგ. ის წერდა: „ყოველ დღე მე ვუყურებ მავთულხლართებს და ვხედავ ხეს. ეს ხე მეხმარება გავიხსენო სიცოცხლის მშვენიერება და ძალა“.

სიცოცხლის სხივები (გამოსხივება): შთაგონებისა და გარდასახვის ხარისხი

ხის ზედა ნაწილს ეწოდება გვირგვინი. იგი შედგება ფოთლებისგან, რომლებიც ბანაობენ სინათლეში და მოიხმარენ სინათლეს. ფოტოსინთეზი უზრუნველყოფს ხეს ბიოსინთეზისთვის აუცილებელი ენერჯით (სასიცოცხლო პროცესების უზრუნველყოფა).

ადამიანის თავიც ასევე გვირგვინია. ბიოსინთეზში ჩვენ ვსაუბრობთ სულთან (სუნთქვა) და სინათლესთან (რომელიც ჩვენი სულიერი თვისებების სიმბოლოა) კავშირზე.

თანამედროვე ფსიქოთერაპიაში შეინიშნება უნდობლობის ტენდენცია და შიში სულიერი მოვლენებისა და სულიერი მუშაობის მიმართ, ვინაიდან ეს ყველაფერი ეზოთერიკად და კულტის მიმდევრობად ითვლება. მაგრამ მე მჯერა, რომ ყველა სახის ფსიქოთერაპია, მათ შორის ფსიქოდინამიკური, ქცევითი და სხეულებრივი იყო შთაგონებული სულიერი წყაროებით.

ბიოსინთეზში სულიერი ასპექტი იკავებს ცენტრალურ ადგილს (სულიერი უსახლკარობის საწინააღმდეგოდ, რომელიც ეგზისტენციალური სასოწარკვეთის ყველა ფორმისთვისაა დამახასიათებელი).

რაიხი წერდა, რომ ყველა ნევროზში, ყველა ავადმყოფურ მდგომარეობაში არსებობს სიმარტივე, სინათლე და კეთილდღეობა. იგი ამას უწოდებდა ბირთვის, ქრისტიანობაში ეწოდება სული, ბიოსინთეზში - არსი. ბუდიზმში ამის სიმბოლოა ღია და ნათელი ცა. ღრუბლებს შეუძლიათ დაფარონ იგი, მაგრამ ის ყოველთვის არსებობს. ხანდახან ჩვენ ვხედავთ, ხანდახან ვივიწყებთ მის არსებობას, მაგრამ იგი უხილავად “მუშაობს” ჩვენზე.

როცა ჩვენ ვურთიერთობთ ამ რესურსთან, ჩვენ ამ მდგომარეობას ვუწოდებთ “გაბრწყინებას”. ამ ღრუბლებისგან თავისუფალი მდგომარეობიდან მომდინარეობს ჩვენი ბაზისური თვისებები: სიყვარულის უნარი, ინსაიტის უნარი, დემონთა წინააღმდეგობის უნარი, სიცოცხლის ძალის ნდობა და რწმენა.

სულიერი განზომილება - ტრანსსომატურია, მაგრამ იგი რეალიზებულია სხეულში, ტრანსპერსონალურია - მაგრამ განხორციელებული თითოეულ პიროვნებაში. მისი განადგურება შეუძლებელია, მაგრამ ის შეიძლება იყოს დავიწყებული, დამძიმებული ან რაღაცით დაბურული.

ჩვენ შეგვიძლია დავივიწყოთ ჩვენი სულიერი თვისებები, მაგრამ ისინი არ დაგვივიწყებენ ჩვენ.

ხე ყოველთვის იღებს რაღაცას მზის სხივებისგან, მაშინაც კი, თუ თავად მზე არ სჩანს.

ზოგიერთ შიზოფრენიით დაავადებულს აქვს შავი მზის ხატება. ასეთ შემთხვევაში შიზოფრენიის მკურნალობა გულისხმობს ამ ხატის ტრანსფორმაციას ისეთ ხატში, რომელიც იქნება დაკავშირებული ადამიანურ სითბოსთან, რასაც ძალუდს “გააღლოს” ადამიანის სულიერი თვისებები და გამოიყვანოს იგი მძინარე მდგომარეობიდან.

შიზოფრენიით დაავადებულმა ქალმა ფსიქოთერაპევტის მაგიდაზე შენიშნა ვაშლი. თერაპევტმა დაინახა მის თვალებში დიდი სურვილი და შესთავაზა მას ვაშლი. ქალმა უარი თქვა, მაგრამ სურვილი მის თვალებში სურვილად დარჩა. მომდევნო სესიაზე მან ვაშლი მოკბიჩა და ამ დროს თავი იგრძნო უფრო რეალურად, დამიწდა რა „სამყაროს ნაყოფში“. ეს გახდა გარდამტეხი მომენტი მის თერაპიაში.

David Boadella, The Tree of Man and Fundamental Dimensions of Biosynthesis, Energy & Character Vol 29, n°1, June 1998.

[1] ABC - ლათინური ანბანის სამი საწყისი ასო, აგრეთვე ცხოვრების სამი ნაკადის სახელების პირველი ასოები: აფექტი, ქცევა, აზროვნება - თარჯიმნის შენიშვნა


[2] ბიოსინთეზში, სანამ მედიტაციას დავიწყებთ ყურადღება ეთმობა დამიწებას - თარჯიმნის შენიშვნა.

[3] მართვადი მედიტაციისას ხატებთან სამუშაოდ საჭიროა კლიენტის სპეციალური მომზადება - თარჯიმნის შენიშვნა



[4] რესურსები პოვნა შეიძლება ცხოვრების ყველა ველზე (ჰექსგრამის ყველა სეგმენტში: სხეულებრივ შეგრძნებებში, ემოციურ განცდებში, ურთიერთობებში, ხატებში, შემოქმედებაში, მედიტაციაში, ლოცვაში) - თარჯიმნის შენიშვნა

Free Article

Free Article



If you wish to receive more information about the reissue of the journal, we invite you to visit our website www.energyandcharacter.com, where you can get information about how and where to buy them.

-  www.energyandcharacter.com
-  journal@energyandcharacter.com
-  +34 680 457 788 - 620 012 111